ხელშეკრულება N139

სახელმწიფო შესყიდვა ხორციელდება 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სახსრებით

ერთი მხრივ, თვითმმართველი ერთეული ჭიათურის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის ,გივი მოდებაძეს სახით (შემდგომში - შემსყიდველი),

მისამართი: ქ.ჭიათურა ნინოშვილის ქ N7

საიდენტიფიკაციო კოდი: № 215609544

ტელეფონის ნომერი: 0479 25 10 81

საბანკო რეკვიზიტები: სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

ანგარიშის ნომერი: GE89BG0000000951640600

და მეორე მხრივ, ა(ა)იპ ,,პოლიტიკური ბრენდინგისა და პრობლემების მართვის ცენტრი"-ს დირექტორი თამარი ჩიბურდანიძე-ლომთაძე (შემდგომში - მომწოდებელი),
მისამართი: თბილისი, გლდანის რაიონი, მუხიანის დას., I მ/რ., კორ. 10, ბ. 139
საიდენტიფიკაციო კოდი: 400258010
ტელეფონის ნომერი: 591 93 94 70
საბანკო რეკვიზიტები: თიბისი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE47TB7378745067800001

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები", „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის "ს1" ქვეპუნქტის და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა" პუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში ხელშეკრულება" შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1 შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოხელეების გადამზადების მიზნით ტრენინგის ჩატარების უზრუნველყოფა შემდეგ თემებზე: „პოლიტიკური პიარი, ლიდერობა და პოლიტიკური მენეჯმენტი" და „ანგარიშის მომზადება, ეფექტური პრეზენტაცია, პროექტების წერა" (CPV 80500000 - სატრენინგო მომსახურებები) ხელშეკრულების პირობების თანახმად.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2500.00 (ორი ათას ხუთასი ლარი და ნული თეთრი) ლარს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები.

3.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

3.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

3.4 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირებს წარმოადგენენ ჭიათურის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურის წარმომადგენელი.

4. მოწოდების ადგილი და ვადა

4.1 მომსახურეობის გაწევის ადგილია: ქ. ჭიათურა, ნინოშვილის ქ. N7

4.2 მომსახურეობა განხორციელდება 2019 წლის 10 ივნისის ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობები

5.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

5.2 შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

5.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის.

6.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მხარე დაჯარიმდება და დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 0,02% ოდენობით.

6.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარესძირითად ვალდებულებების შესრულებისგან.

იმ შემთხვევაში თუ საჯარიმო სანქციების თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 1%-ს მხარეს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება

.

7. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

7.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შორის შეთანხმებით.

7.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის.

7.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.4 მხარე ვალდებულია აღნიშნული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის სესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

8. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

8.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი, დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაშ, მხარე ვალდებულია დაუყონებლივ ან არაუმეტეს მომდევნო სამუშაო დღისა აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმდებეის ვადა.

10.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2019 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

10.2 საქართველოს კანონის ,,ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ" თანახმად ელექტრონული დოკუმენტის გამოყენება შესაძლებელია ყველა შემთხვევაში, როდესაც მოითხოვება წერილობითი ფორმის მატერიალური დოკუმენტი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

მხარეები არსებითად ეთანხმებიან წინამდებარე ხელშეკრულების პირობებს, რასაც ადასტურებენ კვალიფიციური ხელმოწერით ან/და კვალიფიციური შტამპის მეშვეობით:

მხარეთა ხელმოწერები:

შემსყიდველი: | მიმწოდებელი:

Self Governing Unit of Tchiatura Municipality

Digitally signed by Self Governing Unit of Tchiatura Municipality
Date: 2019.06.06 13:08:03 +04'00'

Tamari Chiburdanidze-lomtadze

Digitally signed by Tamari Chiburdanidze-lomtadze
Date: 2019.06.07 11:12:12 +04'00'